www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 26 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3344 (201) | ფასი 50 თეთრი

„შევწყვიტოთ ეს დაპირისპირება!"

დავით ბაქრაძემ საარჩევნო კამპანია ყვარელში დაასრულა

თიკა ნიკოლაძე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატმა საარჩევნო კამპანია ყვარელში დაასრულა. დავით ბაქრაძემ მხარდამჭერებს დასკვნითი ვრცელი სიტყვით მიმართა, მადლობა გადაუხადა და არჩევნებზე აქტიურობისკენ მოუწოდა.

„კარსმომდგარი არჩევნები მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს წყალგამყოფი არჩევნებია, რომელიც გამოავლენს არა მხოლოდ იმას, ვინ დაიკავებს პრეზიდენტის მაღალ პოსტს, არამედ ეს არჩევნები გვაძლევს შანსს, დავასრულოთ დაპირისპირებების ეპოქა ქართულ პოლიტიკაში, გავაკეთოთ მკაფიო არჩევანი ქვეყნის თავისუფლების სასარგებლოდ და განვაახლოთ ევროპული, დემოკრატიული საქართველოს შენება," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, შემთხვევითი არ არის, რომ „ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანია ყვარელში - ილია ჭავჭავაძის მშობლიურ მხარეში დასრულდა.

„იმისთვის, რომ აღვნიშნოთ, რა არის ჩვენი ღირებულებების მთავარი სვეტები, მთავარი ქვაკუთხედი, ჩვენ ყვარელში ჩამოვედით და ეს არ არის შემთხვევითი.

ყველა ერს ჰყავს პიროვნებები, რომელთაც ერის მამად შერაცხავს ხალხის ბრძნული კოლექტიური გონი. საქართველოსთვის ასეთი დიდი ილია ჭავჭავაძეა. სწორედ ამიტომ ვართ შეკრებილები დღეს, წინასაარჩევნო კამპანიის დასკვნით დღეს, ქართველი ერის უდიდესი მოღვაწის, დიდი ილიას მშობლიურ სახლში.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

„მომავალი პრემიერ-მინისტრი მთავრობის გუნდიდან იქნება"

საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების მიუხედავად, მომავალი პრემიერ-მინისტრის ვინაობის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. გუშინ „ქართული ოცნების" ცენტრალურ ოფისში, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის მონაწილეობით, პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, განხილვის ერთ-ერთი თემა მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უნდა ყოფილიყო, თუმცა შეხვედრის რამდენიმე მონაწილე ამ ინფორმაციას უარყოფს. **„ბატონმა ბიძინამ ბრძანა, რომ მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევის საკითხს მას შემდეგ განვიხილავთ, რაც საპრეზიდენტო არჩევნები ჩაივლის,"** - თქვა შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა.

ქუცნაშვილის ინფორმაციით, კოალიცია პრეზიდენტის ინაუგურაციის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ მსჯელობს. როგორც პარლამენტარი აღნიშნავს, ინაუგურაცია მოკრძალებულად, არაპომპეზურად და შემჭიდროვებული ხარჯებით გაიმართება. ამასთან, ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, შეხვედრაზე 27 ოქტომბრისთვის კოალიციის შტაბის საორგანიზაციო საკითხები განიხილეს.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურის შესახებ განხილვების დაწყებას არ ადასტურებს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების" წევრი ზურაბ ტყემალაძე. მისი ინფორმაციით, პრემიერობის კანდიდატურის შესახებ მსჯელობა საპრეზიდეტო არჩევნების შემდეგ დაიწყება. დეპუტატის თქმით, კანდიდატურა არც სამშაბათს დანიშნულ პოლიტსაბჭოს სხდომაზე დასახელდება. **„კონსულტაციები მომავალი კვირის ბოლოს გაიმართება,"** - აღნიშნავს ზურაბ ტყემალაძე.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

პუტინმა უკრაინას ორ სკამზე ჯდომის იმედი გადაუწურა

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე

მინსკში ხუთშაბათს და პარასკევს მიყოლებით ჩატარდა ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის და დსთ-ს სამიტები. თავიდან საბაჟო კავშირის წევრი სამი სახელმწიფოს - რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა, ხოლო შემდეგ მათ შეუერთდნენ იმ სახლემწიფოების ლიდერებიც, რომლებსაც ამ კავშირში გაწევრიანება ან სხვა სახის მჭიდრო თანამშრომლობა სურთ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

მოსმენების საერთაშორისო სკანდალი ძალას იკრებს

ივა შილაკაძე

ბრიუსელში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ევროკავშირის სამიტი, სადაც წინასწარ, დაუგეგმავად, ლამის მთავარ თემად იქცა ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების მიერ ევროპელი და სხვა მოკავშირეების თვალთვალი. ევროკავშირის სამიტმა თავის განცხადებაში ამ გაერთიანების წევრი სახელმწიფოების პირველი პირების მიმართ აშშ-ს ჯაშუშობა ოფიციალურად დაგმო. ბრაზილიამ და გერმანიამ გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე ერთობლივად დააყენეს რეზოლუციის მიღების საკითხი, რომელიც ინტერნეტში ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას დაიცავს. ამას გარდა, აშშ-ს „ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს" მიერ ქვეყნების პირველ პირთა ტელეფონების მოსმენის ახალი ფაქტები ხდება ცნობილი.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი . . . . . 1.6643⇓
1 ევრო . . . . . 2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა . 2.5933⇓
1 თურქული ლირა . . . 0.8622⇓
100 რუსული რუბლი . . 5.0433⇓

თბილისი . . . . . 31°C - 20°C
ქუთაისი . . . . . 33°C - 20°C
ზუგდიდი . . . . . 32°C - 21°C
ბათუმი . . . . . 27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

გოგიტა გოგუა: „ფეხბურთისა და ვირადი ურთიერთობის არევა არ შეიძლება"

ჟურნალ „პრო ფუტბოლთან" (PRO Футбол) ინტერვიუში ხაბაროვსკის „სკა-ენერგიას" ქართველი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა კლუბსა და საქართველოს ნაკრებზე საუბრობს. ამბობს, ვიდრე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაიაა, გუნდში დაბრუნება ვერ წარმომიდგენიაო. ქართველი ლეგიონერის ინტერვიუს შემოკლებული ვარიანტი, რომელსაც ჩვენც გთავაზობთ, ფეხბურთის გულშემატკივრისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.

- ამბობდით, რომ რუსეთში თქვენთვის დიდი ფეხბურთი დაიწყო არა „ხიმკიდან", რომელშიც პირველად თამაშობდით, არამედ ნალჩიკის „სპარტაკიდან". ასე რატომ ფიქრობთ?

-"ხიმკიში" ცოტას ვთამაშობდი და თავს ფეხბურთელად არ ვგრძნობდი, რაც არ მაკმაყოფილებდა. ნალჩიკში მისვლისთანავე თავი ფეხბურთელად ვიგრძენი. როდესაც იქ მივედი, გუნდში პირველი ქართველი ვიყავი. შემდეგ მოვიდნენ დავით სირაძე და ლევან გვაზავა. ნალჩიკში კლუბის ხელმძღვანელობამ, გულშემატკივრებმა და სამწვრთნელო შტაბმა კარგად მიმიღეს. მენდობოდნენ და პრემიერლიგაში ნორმალურად დავიწყე თამაში.

- ნალჩიკში ჩატარებული პირველი სეზონის შემდეგ გულშემატკივრებმა გუნდის საუკეთესო მოთამაშეებს შორის მესამე ადგილზე დაგასახელეს...

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

იშხანი - შეხვედრა რესტავრაციის განსახილველად

ლუკაშენკომ და იანუკოვიჩმა საქართველო დსთ-ში დაპატიჟეს

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ დსთ-ს წევრი ქვეყნების მეთაურთა საბჭოზე განაცხადა, რომ მას სურს, საქართველო ამ თანამეგობრობაში კვლავ იხილოს. ლუკაშენკოს თქმით, იგი ამ განცხადებას დსთ-ს წევრი ქვეყნების მეთაურების სახელით აკეთებს.

„საქართველოში არიან ადამიანები, მათ შორის ხელისუფლებაშიც, რომლებსაც სურთ, ჰქონდეთ პლატფორმა, სადაც შესაძლებელია არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური საკითხების განხილვა," - განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა. მისივე განცხადებით, იგი იმედოვნებს, რომ საქართველოში მის მესიჯს შეისმენენ.

ლუკაშენკოს განცხადებას გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩიც.

„აბსოლუტურად ვეთანხმები ალექსანდრე გრიგორის ძის ინიციატივას - შევახსენოთ ჩვენს მეგობრებს საქართველოდან, რომ დსთ-ს კარი მათთვის ყოველთვის ღიაა," - განაცხადა იანუკოვიჩმა.

ეს განცხადება იანუკოვიჩმა მინსკში, დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სხდომის შედეგების შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, ბელარუსის პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ გააკეთა. უკრაინული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, იანუკოვიჩის აზრით, დსთ-ს შემადგენლობაში საქართველოს დაბრუნება ძალიან სწორი ნაბიჯი იქნება, რადგან ძალიან ბევრი კომენტარია, მათ შორის ქართველი პოლიტიკოსებისგან, რომ დსთ-ს დატოვების შესახებ გადაწყვეტილება დაუფიქრებელი იყო და საქართველო ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლისთვის დაწყებული მრავალი მნიშვნელოვანი პროცესის მიღმა აღმოჩნდა.

„რაც არ უნდა იყოს, დსთ ის მოედანია, სადაც მივეჩვიეთ, მოვილაპარაკოთ და გადავწვიტოთ ბევრი საკითხი, როგორც წესი, მოვხსნათ ბარიერები," - აღნიშნა ვიქტორ იანუკოვიჩმა.

დაპირისპირება სააკაშვილსა და ჩახალიანს შორის

„გარბიხართ სეპარატისტო ლაჩრებო? მოდით აქ!" - ამ რეპლიკით გაედევნა ახალქალაქში ჩასული პრეზიდენტი ვაჰაგან ჩახალიანსა და მის თანმხლებ პირებს, რომლებიც სააკაშვილს ბრალდებებს უყენებდნენ.

პრეზიდენტი ახალციხეს გუშინ სტუმრობდა. იგი ადგილობრივ მოსახლეობას ადგილზე შექმნილი პრობლემების შესახებ ესაუბრა.

როცა მიხეილ სააკაშვილი ახალციხის მოსახლეობას ხვდებოდა, ადგილზე რამდენიმე თვის წინ ამნისტიით გათავისუფლებული, მოძრაობა „ჯავახკის" დამფუძნებელი, ყოფილი პატიმარი მივიდა და პრეზიდენტს პასუხი მოსთხოვა, თუ რატომ არის აფეთქებული სომხური ეკლესია დემოკრატიულ ქვეყანაში და რატომ არ ისწავლება სომხური ლიტერატურა და ისტორია ახალციხის სკოლებში.

შე კრიმინალო, ციხიდან გამოსულო - მიმართა სააკაშვილმა ჩახალიანს.

„სკოლაში არაა სომხური ლიტერატურა, ყველა სკოლა დაგვიკეტეს. არაა ისტორია და ლიტერატურა სომხური," - უთხრა ჩახალიანმა პრეზიდენტს.

„შენც მე მასამართლებ, შე კრიმინალო, სეპარატისტო, მოდი აქ, მე აქ მოვიდვარ, რომ ყველა მოქალაქეს მოვუსმინო. რა გავაკეთე ახალქალაქში, ახლა გეტყვი - მე გავაკეთე ის, რომ სეპარატისტებს თქვენი სახით გამოვაცალე ნიადაგი, აშენდა მნიშვნელოვანი რკინიგზა და ის გზა, რომელზეც ახლა შენ დადიხარ, შემოვიდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შემოვიდა გაზი და შუქი, რაც მანამდე არ გქონდათ, გავიდა რუსული ბაზა და შენისთანა სეპარატისტები და გოშიები ვერ წამიკითხავენ... შენ ციხეში იჯექი ექვსი მუხლით, ძალიან მიქარა, ვინც შენ გამოგიშვა, შენისთანა ხალხმა, კრიმინალებმა ველარასდროს უნდა გაბედონ პარპაში," - უთხრა პრეზიდენტმა ჩახალიანს. ამის შემდეგ ჩახალიანი და მისი თანმხლები პირები უკან გაბრუნდნენ სკანდირებით: „წადი მიშა თურქეთში".

მოსკოვის პოლიციამ ქართველი მოზარდი დააკავა

მოსკოვის პოლიციამ, 13 წლის გოგონას დაჭრის ბრალდებით, ქართველი მოზარდი დააკავა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული ტელეკომპანია „ენტეევე" ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, გოგონას დაჭრაში ეჭვმიტანილი 15 წლის ქართველია. „ენტეევე"-ს ცნობით, გასულ კვირას ქართველმა მოზარდმა 8-კლასელ გოგონას მუცლისა და მკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

დანაშაულის მოტივი ჯერ უცნობია.

თბილისის მერის ორი ინიციატივა

თბილისის მერმა გიგი უგულავამ თბილისის საკრებულოს 2013 წლის ბიუჯეტში საბინაო ამხანაგობების დაფინანსების მუხლში სამი მილიონი ლარის დამატება მოითხოვა.

უგულავას თქმით, თანხის დამატება რაიონულ გამგეობებს საშუალებას მისცემს, წლის ბოლომდე მოსახლეობის განცხადებების მიღება განაახლონ და ამხანაგობების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულონ - მათ შორის, განახლდეს შიდა კომუნიკაციების, ლიფტებისა და სახურავების შეკეთება, ასევე აღდგეს მრავალი სხვა სახის მომსახურება, რომელთა დაფინანსებაც აგვისტოში, თბილისის საკრებულოს მიერ ბიუჯეტში შესაბამისი თანხის შემცირების გამო შეწყდა.

ბიუჯეტის ცვლილებას ითვალისწინებს ასევე მერიის ახალი ინიციატივასაც, რომლის თანახმად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ქალაქში მოძრავ სამარშრუტო ტაქსებში შეღავათებით ისარგებლებს.

უგულავას ინიციატივით, ნოემბრის შუა რიცხვებიდან სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000-ზე დაბალია, სამარშრუტო ტაქსით გადაადგილებისას მგზავრობის ღირებულების ნახევარს გადაიხდიან, ხოლო მეორე ნახევარს თბილისის მერია დაფარავს. ამისთვის ბიუჯეტში 300 000 ლარი უნდა იქნეს გათვალისწინებული.

გიგი უგულავას ინფორმაციით, აღნიშნული ინიციატივები თბილისის მერიამ სექტემბერში მოამზადა, მაგრამ ცვლილებების განხორციელება იმის გამო ვერ მოხერხდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ბიუჯეტის კორექტირება კანონით აკრძალულია.

აღნიშნული ინიციატივები საზოგადოებას თბილისის მერმა გუშინ თავად გააცნო და იმედი გამოთქვა, რომ დედაქალაქის საკრებულო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სხდომას უახლოეს პერიოდში გამართავს და მერიის წინადადებებს მხარს დაუჭერს.

თბილისის მერის განცხადებას საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი გამოეხმაურა.

„ინიციატივა, რომელიც თბილისის მერმა გააჟღერა, გონივრულობას მოკლებული არ არის. თუმცა, ტელევიზორით გაკეთებული განცხადებები არ არის სერიოზული მიდგომა ასეთი სერიოზული პრობლემებისადმი. მიმაჩნია, რომ თბილისის მერი საკრებულოში უნდა მობრძანდეს და რამდენიმე მუშა შეხვედრა შედგეს. ჩვენ ყველა იმ წინადადებას, რომელიც გონივრული და თბილისისთვის საჭირო იქნება, ხელს არ შევუშლით, პირიქით," - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - თბილისელების" თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძის განცხადებით, გიგი უგულავამ საკრებულოს გუშინდელ სხდომაში მონაწილეობას თავი აარიდა.

ზუმბაძის ინფორმაციით, წინა დღეს, საკრებულოს წევრთა 1/3-ის ინიციატივით, დედაქალაქის მერს შეტყობინება გაეგზავნა საკრებულოს სხდომას დასწრებოდა, თუმცა იგი გუშინ სხდომაზე არ გამოცხადებულა.

გულიკო ზუმბაძის თქმით, საკრებულოს წევრები დედაქალაქის მერისგან თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი შპსების, სამეთვალყურეო საბჭოების, ბორდების დაფინანსების საკითხებზე პასუხებს ითხოვდნენ.

ზუმბაძის ინფორმაციით, სამეთვალყურეო საბჭოები თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდება და ეს დედაქალაქს ორი მილიონამდე ლარი უჯდება. მისივე თქმით, საკრებულოს წევრებს გიგი უგულავასთან ამ საბჭოების აუცილებლობის შესახებ ჰქონდათ კითხვები.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ზაზა გაბუნიას თქმით, გიგი უგულავა კოლმეურნეობის თავმჯდომარესავით იქცევა.

„მინდოდა, მერისთვის მეკითხა, რად წარმოუდგენია მას თავი? რადგან ის არ მოვიდა, ამიტომ თქვენ, მის თანაგუნდელებს გეკითხებით - რა ჰგონია უგულავას, ვინ არის? რად წარმოუდგენია თავი? აქამდე ჩვენ მას ანტიკური პერიოდის მმართველს ვადარებდით, მაგრამ უკვე ეს შედარებაც აღარ ვარგა, რადგან პოლისების შემთხვევაში საზოგადოებრივი პირადზე მაღლა იდგა, უგულავა კი იქცევა, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ამით ის ჩრდილს აყენებს არა საკრებულოს, არამედ საკუთარ თავს," - აღნიშნა გაბუნიამ.

როგორც იგი დასძენს, უგულავას საკრებულოს წევრების წინაშე წარდგომა და კითხვების მოსმენა მაინც მოუწევს.

თბილისის მერის ინიციატივებს საკრებულოს წევრი ნიკო ხაჩირიშვილიც გამოეხმაურა. მისი შეფასებით, თბილისის მერი პოპულისტური განცხადებების კეთებაზეა ორიენტირებული.

„ჩვენ ორიენტირებულნი ვართ საქმის კეთებაზე და არა პოპულისტური განცხადებების კეთებაზე," - აღნიშნა ხაჩირიშვილმა.

დეპუტატის თქმით, საკრებულო ნებისმიერ გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მიიღებს, თუ რამდენად ორიენტირებული იქნება ის ხალხზე.

„თბილისის მერს ურჩევნია, საკრებულოში მობრძანდეს. უმჯობესია, თბილისის მთავრობამ ყველა იმ კითხვას უპასუხოს, რომელიც ბორდებს, სამეთვალყურეო საბჭოებს და სხვა თემებს ეხება და კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღოს და არა პოპულისტური განცხადებები აკეთოს," - განაცხადა ხაჩირიშვილმა.

ბაჩო ახალაიას ბრალი დაუმძიმდა

თავდაცვის და შს ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას ბრალი დაუმძიმდა. ახალაია სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის სანდრო გირგვლიანის საქმეზე სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა.

„დადგენილია, რომ ბაჩანა ახალაიამ, რომელიც დაკისრებული მოვალეობების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, საკუთარი ძმის დავით ახალაიასა და სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე სხვა პირთათვის უკანონო უპირატესობის მინიჭების მოტივით, დაარღვია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები, კონსტიტუცია და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით სასჯელაღსრულების მე-7 და მე-10 დაწესებულებების საქმიანობაში უკანონო ჩარევის გზით განაპირობა სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა - გერონტი ალანიას, ალექსანდრე ღაჭავას, ავთანდილ აფციაურისა და მიხეილ ბიბილურიძის მიმართ დადგენილი განაჩენის არასათანადოდ აღსრულება," - განაცხადეს პროკურატურაში გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული პირები სასჯელის მოხდის განმავლობაში უკანონო შეღავათებით, განსაკუთრებული პირობებითა და პრივილეგირებული მდგომარეობით სარგებლობდნენ.

პროკურატურა სასამართლოს ახალაიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართავს.

თავდაცვის და შს ყოფილი მინისტრის ადვოკატ დავით დეკანოიძის განცხადებით, ხელისუფლებას ეშინია, რომ ბაჩო ახალაიას მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგება.

„ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე განაჩენი 28 ოქტომბერს გამოცხადდება, ხოლო შს მინისტრობის პერიოდთან დაკავშირებულ ეპიზოდზე კი განაჩენს უკვე ორი თვეა, უშედეგოდ ველით. ეშინიათ, რომ ახალაიას მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგება. ალბათ, ამით აიხსნება მისთვის ახალი ბრალის წაყენება," - განაცხადა დეკანოიძემ.

ბაჩო ახალაიასთვის ბრალის დამძიმების ფაქტზე კომენტარი გააკეთა მისმა მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა.

„ბაჩოს განაჩენი ქურდების საქმეზე გამოცხადდება ორშაბათს 10 საათზე, აქედან გამომდინარე (როგორც ყოველთვის ხდება), ბაჩოს ახალი ბრალი წაუყენეს ამ წუთებში - „გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული პირებისთვის პრივილეგირებული პირობების შექმნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში", მუხლი 332, ნაწილი პირველი (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სანქცია ჯარიმა ან 0-დან 3 წლამდე პატიმრობა).

აქოცებულო პროკარატურა, მე მაინც ბავშვების ჭამის ბრალდებით ველოდი ამ განაჩენის წინ ბრალის წაყენებას. ვაი, თქვე საცოდავებო!!!

შეგახსენებთ, ეს ის საქმეა, სადაც მამა ნიკოლოზზე ახორციელებდნენ ზეწოლას პროკურატურაში და აიძულებდნენ ბაჩოსთვის დაედო ხელი," - დაწერა ანი ნადარეიშვილმა სოციალურ ქსელში.

აშშ-ს ელჩი ზუგდიდში წინასაარჩევნო ვითარებას გაეცნო

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი გუშინ ზუგდიდს სტუმრობდა. მან N67 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა ოყუჯავასთან დახურულ ფორმატში 20 წუთის განმავლობაში ისაუბრა. როგორც ამერიკელმა დიპლომატმა ჟურნალისტებს უთხრა, შეხვედრაზე საარჩევნო საკითხები განიხილეს. ელჩის ინფორმაციით, საოლქო კომისიის თავმჯდომარემ მას უთხრა, რომ არჩევნები აუცილებლად გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარდება.

რიჩარდ ნორლანდის შეფასებით, პრეზიდენტის არჩევნები საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციის და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი დღე იქნება, რაშიც სამეგრელო მნიშვნელოვან როლს ასრულებს. **„ზუგდიდში მეოთხედ ვარ. მახსოვს, შარშან ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან როცა ვიმყოფებოდი, აქ როგორი დაძაბული ვითარება იყო. წელს კვლავ ზუგდიდში ვარ და ატმოსფერო ბევრად უფრო მშვიდია. ხალხი არჩევნების სამართლიანად ჩატარებას ელის. ზაფხულში იყო ინციდენტები და არავის სურს, მსგავსი რამ განმეორდეს. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და ნიდერლანდების საელჩოებმა ერთობლივი ჯგუფები შექმნეს, რომლებიც არჩევნებს დააკვირდებიან. როგორც ზუგდიდში, ასევე მთელს საქართველოში დამკვირვებლები ხმების დათვლის პროცესის სამართლიანად წარმართვის უზრუნველყოფას შეეცდებიან. ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ არჩევნები გამჭვირვალედ და ღია გარემოში გაიმართება,"** - აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

ნორლანდის თქმით, ამ ეტაპზე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების განსაზღვრა შეუძლებელია. **„არ ვიცით, საქართველოს პრეზიდენტი ვინ გახდება. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მომავალ პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და მათი მეშვეობით საქართველოსთან თანამშრომლობას გააგრძელებს,"** - აცხადებს რიჩარდ ნორლანდი.

აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში ნათქვამია, რომ 2008 წლიდან აშშ-ს მთავრობამ საქართველოში დემოკრატიის, მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების მიზნით 120 მილიონი დოლარი გამოყო. აშშ მხარს უჭერს არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, ან კანდიდატს, არამედ საქართველოს ძალისხმევას, განავითაროს დემოკრატიული ინსტიტუტები.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„შევწყვიტოთ ეს დაპირისპირება!"

პირველი გვერდიდან

ჩვენი აქ ყოფნა თავისთავად ხაზგასმაა ჩვენი ერთგულებისა ილიას იდეების, მისი ღირებულებების მიმართ. ჩვენი განვითარების გზა, ახალი საქართველოს მოწყობის წესი და ღირებულებების სისტემა პირდაპირ გამომდინარეობს, ეფუძნება, თანამედროვე ჟღერადობით ეხმიანება დიდი ილიას ყველაზე მოწინავე იდეებს," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა" ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ნატო-სა და ევროკავშირის წევრი გახდეს. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება მისი სურვილიც არის, თუმცა ეს საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

„ილიას კვალდაკვალ, დღეს ჩვენი პარტია საქართველოს ევროპული არჩევანის მთავარი დამცველი ძალაა! ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და გავაკეთებთ, რომ საქართველო გახდეს ნატო-სა და ევროკავშირის წევრი! დღეს სრულიად ნათელია, რომ ეს ერთ-ერთი ის საკითხია, სადაც დღევანდელ მთავრობას ყველაზე მეტად სჭირდება კონტროლი!

სამწუხაროდ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩვენი მეგობრების მუდმივი განბრალება და რუსეთთან დათმობის ენაზე საუბარი მუდმივ ტენდენციად იქცა! დიახ, მე მინდა ურთიერთობების გაუმჯობესება რუსეთთან, მაგრამ ცალსახად ვაცხადებ, რომ ეს ურთიერთობა ვერ გაუმჯობესდება საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე! რუსეთთან ურთიერთობები გაუმჯობესდება მხოლოდ მაშინ, თუ ის მიხვდება, რომ შეუძლებელია, საქართველოს დამორჩილება, მისი გადაყვანა ევროპული გზიდან! ასე იყო ლიტვაში, პოლონეთში, ესტონეთში და ასე იქნება საქართველოშიც," - აღნიშნა „ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატმა.

ამასთან, დავით ბაქრაძემ ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც მოლაპარაკებების შედეგად 1999 წელს რუსეთი საქართველოდან ბაზების გაყვანას დათანხმდა და დასძინა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები კონსტრუქციული, თუმცა ამავე დროს პრინციპული, კრიტიკული და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული უნდა იყოს.

„მე ვიცი, რა ნიშნავს რუსეთთან დიალოგი. მე ვიყავი იმ მოლაპარაკებების მონაწილე, რომლის შედეგადაც საქართველოდან გავიდნენ რუსი მესაზღვრეები; მე ვიყავი მონაწილე იმ მოლაპარაკებებისა, რომლის შედეგადაც 1999 წელს რუსეთი დათანხმდა საქართველოდან ბაზების გაყვანას. ამიტომ მე ვიცი, როგორი უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული დიალოგი რუსეთთან - კონსტრუქციული, მშვიდი, მაგრამ ამავე დროს უკიდურესად პრინციპული, კრიტიკული და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული. და ნებისმიერი სხვა ფორმა - თავის დახრა, კრიტიკაზე უარის თქმა, პირფერობა - ყველაფერი მხოლოდ საპირისპირო შედეგამდე მიგვიყვანს.

დიდი ილიას ნანატრი თავისუფლება მიიღწევა არა დათმობებით, არამედ პრინციპულობით და საკუთარი ინტერესების დაცვით! სწორედ ამის დასტურია დღეს ჩვენი სამშობლოს გულში გავლებული ახალი მავთულხლართები და მიტაცებული მიწები!

ამიტომ, დათმობების გზა ჩიხია. ჩვენ უნდა შევქმნათ რუსეთთან ცივილიზებული ურთიერთობის ისეთი მოდელი, რომელიც არასოდეს გვქონია და ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ ვიქნებით ნატო-სა და ევროპის ნაწილი," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, შრომაზე დაფუძნებულ განვითარებას ალტერნატივა არა აქვს და საქართველოს ერთი მდიდარი ადამიანის წყალობა და ოცნება არ და ვერ გადაარჩენს. ბაქრაძის განმარტებით, ასეთი ოცნება არ მუშაობს და ასეთი დაპირება ფუჭია.

„ილია ასევე გახლდათ მოწინავე, ლიბერალური ეკონომიკის სულისჩამდგმელი, საქართველოს საბანკო სისტემის დამფუძნებელი, უდიდესი მოამაგე ცოდნის და განათლების გავრცელებისა!

ინიციატივასა და შრომაზე დაფუძნებულ განვითარებას დღესაც არა აქვს ალტერნატივა. საქართველოს ვერ გადაარჩენს და არ გადაარჩენს ერთი მდიდარი ადამიანის წყალობა და ოცნება, რომ ეს ერთი ადამიანი გამოკვებავს ყველას და არჩენს ქვეყანას. ასეთი ოცნება არ მუშაობს და ასეთი დაპირება ფუჭია," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

თუმცა, მისივე თქმით, ერთი წლის წინათ საქართველოს მოსახლეობამ სხვა ისეთი დაპირებებიც მიიღო, რომლებიც უნდა შესრულდეს.

„ჩვენ ერთი წლის წინ გვესმოდა ბევრი ისეთი დაპირებაც, რომელიც უნდა შესრულდეს და ჩვენი ვალია ამისთვის - ვაკონტროლოთ მთავრობა!

რატომ უნდა ვაკონტროლოთ მთავრობა? იმიტომ, რომ ერთი წლის წინ ეს მთავრობა მოვიდა დაპირებით, რომ გააუმჯობესებს ხალხის ცხოვრებას, ააშენებს ახალ ქარხნებს და საწარმოებს, ღირსეული დასაქმების საშუალებას მისცემს ჩვენ მოქალაქეებს, გაანახევრებს ტარიფებს და 230 ლარამდე გაზრდის პენსიებს.

ერთი წელია, მოთმინებით ვუყურებთ ახალ მთავრობას და ვხედავთ, რომ ნაცვლად ახალი საწარმოების გახსნისა, არსებულები ჩერდება და იხურება - ბიზნესი გაჩერებულია. ნაცვლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა, მხოლოდ 3 თვეში 42 000 სამუშაო ადგილი დაიკარგა, სოციალური დაპირებების შესრულების ნაცვლად, თითქმის 30 000 ადამიანი ამოიღეს შემწეობის მიმღებთა სიიდან - 84 საჯაროდ გაცემული დაპირებიდან 76 დღემდე შეუსრულებელია! ოცნება არ მუშაობს, მეგობრებო! დაპირებები არ სრულდება და ამას დღეს ყველა ხედავს," - ამბობს „ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატი.

მისივე განმარტებით, მომავალმა პრეზიდენტმა არ უნდა დაუშვას, რომ მთავრობამ ის დაივიწყოს, რისთვის მას ხალხმა გასულ წელს ხმა მისცა. ამასთან, ბაქრაძემ აღნიშნა, რომ მომავალ პრეზიდენტს მთავრობასთან მუშაობა უნდა შეეძლოს.

„მომავალმა პრეზიდენტმა არ უნდა დაუშვას, რომ მთავრობამ დაივიწყოს ის, რისთვისაც ხალხმა ხმა მისცა 1 ოქტომბრის არჩევნებში. პრეზიდენტმა, ხალხთან ერთად, უნდა აიძულოს მთავრობა, მთავარ ამოცანად გაიხადოს არა პოლიტიკური დაპირისპირება, არამედ ხალხზე ზრუნვა და ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება. და ამავე დროს, თვითონ პრეზიდენტსაც უნდა შეეძლოს მთავრობასთან ერთად მუშაობა და მისი დახმარება ამ მიზნების მისაღწევად. ვფიქრობ, სწორედ ესაა ახალი პრეზიდენტის ამოცანა და სწორედ ასეთ მიდგომას ვთავაზობ ჩვენს საზოგადოებას.

იმედი მაქვს, საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერობის ერთი წლის განმავლობაში მე დავამტკიცე, რომ შემიძლია, ერთდროულად ვიყო კრიტიკულიც და კომპრომისულიც, მწვავეც და კონსტრუქციულიც; შემიძლია, მოვთხოვო ხელისუფლებას საქმის გაკეთება და ამავე დროს შემიძლია, დავეხმარო კიდეც მას ამ საქმის გაკეთებაში.

განსხვავებით სხვა პოლიტიკური ძალებისგან, ჩვენი ფუნქცია მხოლოდ კრიტიკა არ არის! ჩვენ ყოველთვის უნდა გვქონდეს რეალური გეგმა ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის, სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ბიზნესის წინსვლისთვის, ეკონომიკის ზრდისთვის," - განაცხადა დავით ბაქრაძემ და მთავრობას ეკონომიკის გაჯანსაღების „სამი ნაბიჯი" კიდევ ერთხელ შესთავაზა.

„სწორედ ამიტომ, მე, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, კიდევ ერთხელ ვთავაზობ მთავრობას, ერთად გადავდგათ 3 ნაბიჯი ეკონომიკის გაჯანსაღების და ასეულობით ათასი ქართული ოჯახის უკეთ ცხოვრებისთვის:

1. გავაგრძელოთ გადასახადების შემცირება, რითიც თითოეული ოჯახი მეტ შემოსავალს მიიღებს;

2. უარი ვთქვათ ახალი რეგულაციების შემოღებაზე, რითიც შევქმნით სტაბილურ საინვესტიციო გარემოს და მოვიზიდავთ ინვესტიციებს;

3. მოვახდინოთ ეკონომიკური ამნისტირება და ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია, რითიც ბიზნესს შევუქმნით დაცულობის განცდას და სწორედ დაცული და გაფართოებული ბიზნესის შედეგად შევქმნით ახალ სამუშაო ადგილებს," - დასძინა დავით ბაქრაძემ.

მისივე განმარტებით, საქართველო ყოველთვის არ უნდა იმეორებდეს ერთსა და იმავე შეცდომას, რომელთაგან ყველაზე საყურადღებოა დაპირისპირება და პოლიტიკურ პარტიათა შორის სიძულვილი. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ამ დაპირისპირებაში ქვეყანა აგებს.

„ამ ყველაფრის სანაცვლოდ დღეს ხალხს აღარაფერს ჰპირდებიან, გარდა ერთისა - რომ არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაცია დამთავრდება! ანუ იქნება არა ურთიერთთანამშრომლობა, არა ურთიერთკონტროლი, არა საზოგადოების კონსოლიდაცია, არამედ ის, რითიც დღევანდელი მთავრობა ისედაც დაკავებულია მთელი ერთი წელი - დაპირისპირება, დაპირისპირება და დაპირისპირება!

საქართველო ყოველთვის არ უნდა იმეორებდეს ერთსა და იმავე შეცდომას. მთავარი ამ შეცდომათაგან დაპირისპირება და პოლიტიკურ პარტიებს შორის სიძულვილია. ახლაც, როგორც ილიას დროს, სხვადასხვა პოზიციებზე მდგომი დასები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ავიწყდებათ, რომ ამ დაპირისპირებაში საქართველო აგებს.

სწორედ ამიტომ, დღეს მინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადო - ამ დაპირისპირების პოლიტიკას საქართველოში წერტილი უნდა დაესვას! მინდა, მკაფიოდ დავადასტურო - „ნაციონალური მოძრაობა" არასდროს დაადგება რევანშიზმისა და სამაგიეროს გადახდის გზას!

ხალხი დაიღალა მუდმივი დაპირისპირების, შუღლის და დაძაბულობისგან. შევწყვიტოთ ეს დაპირისპირება და მთელი ჩვენი ენერგია მოვახმაროთ ქვეყნის განვითარებას და ხალხის უკეთ ცხოვრებას. მაშინ როდესაც ჩვენ მთლიანად დაკავებული ვართ ერთმანეთთან ჩხუბით, გვავიწყდება, რომ ხალხს სჭირდება დასაქმება, სამუშაო ადგილები, გაზრდილი პენსია, სოფლის განვითარება, აშენებული ინფრასტრუქტურა, წესრიგი და ევროპული მომავალი.

ამიტომ გთავაზობთ - ვიმუშაოთ ერთად ქვეყნის განვითარებისთვის. და თუ მთავრობის გეგმა შემდგომი დაპირისპირებაა, ჩვენი გეგმაა ურთიერთთანამშრომლობა ხალხის საკეთილდღეოდ! მე მზად ვარ, ვიმუშაო მთავრობასთან და მიუხედავად უამრავ საკითხზე განსხვავებული შეხედულებებისა, მივაღწიო იმას, რაც ხალხს ყველაზე მეტად სჭირდება - მეტ სამუშაო ადგილს, უკეთეს ანაზღაურებას და უფრო მეტად დაცულ ოჯახებს!

დაბოლოს: ილია ჭავჭავაძე იყო მთავარი მქადაგებელი შემწყნარებლობისა - იმ მთავარი ღირებულებისა, რასაც ჩვენი მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური სამშობლოს ერთიანობა ეფუძნება," - დასძინა დავით ბაქრაძემ.

მისი თქმით, საქართველოს გამთლიანებისთვის ქართული საზოგადოების გამთლიანებაა საჭირო.

„საქართველო ვერ გამთლიანდება მანამ, სანამ, პირველ რიგში, არ გამთლიანდება ქართული საზოგადოება. ჩვენი, ყველას, მთავარი ამოცანა კი იყო და იქნება გამთლიანებული, ერთიანი, თავისუფალი, ძლიერი საქართველოს შექმნა, შექმნა ისეთი ქვეყნისა, სადაც თითოეული მოქალაქე თავისუფალ, ღირსეულ ადამიანად გრძნობს თავს, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი უმცირესობის წევრია; სადაც არავინ ხდება ძალადობის მსხვერპლი მისი არჩევანის ან წარმომავლობის გამო; სადაც თავისუფალი არჩევანია მთავარი ღირებულება და ყველას საკუთარი შრომით და ნიჭით შეუძლია, კეთილდღეობა მოიპოვოს.

მხოლოდ ასეთი ქვეყანა შეძლებს, მშვიდობიანად გაუმკლავდეს ყველაზე დიდ გამოწვევებს, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას - დაასრულოს რუსული ოკუპაცია და აღადგინოს საკუთარი ერთიანობა; გახდეს ნატო-ს და ევროკავშირის წევრი; საერთო გამონახოს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და შეუქმნას ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ეკონომიკური კეთილდღეობა და ღირსეული ცხოვრების პირობები! მხოლოდ ასეთი ქვეყანა შეძლებს, აასრულოს დიდი ილიას ოცნება თავისუფალი, ევროპული და თანამედროვე საქართველოს შესახებ!

ასეთი ქვეყანის აშენებას კი სჭირდება, რომ მომავალი პრეზიდენტი იყოს მთელი ქვეყნის, თითოეული მოქალაქის პრეზიდენტი და ზრუნავდეს ყველა ადამიანის უკეთ ცხოვრებაზე, დამოუკიდებლად მისი პოლიტიკური სიმპათიებისგან; რომ პრეზიდენტი იყოს ქვეყნის სტრატეგიული ეროვნული ინტერესების დაცვისა და ევროპული და ევროატლანტიკური კურსიდან არგადახვევის გარანტი; რომ ქვეყანას ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელიც იქნება დამოუკიდებელი მთავრობისგან და ხალხთან ერთად გააკონტროლებს მთავრობას, რათა არ იქნეს დავიწყებული ის დაპირებები, რომელთა შესრულებაც ასე სჭირდება ხალხს; და ამავე დროს, იყოს პრეზიდენტი, რომელსაც შეეძლება ყველა პოლიტიკურ ძალასთან და მთავრობასთან საერთო ენის გამოძებნა და მუშაობა ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

ამიტომ, ჩემო მეგობრებო, თუ ჩვენი ღირებულებების მთავარი ქვაკუთხედები თავისუფლება, განახლებისკენ სწრაფვა და მრავალფეროვნების პატივისცემა იქნება, თუ ჩვენი ცხოვრების წესი „მოძრაობა და მოძრაობაა", თუ ჩვენ განუხრელად დავიცავთ ჩვენი დიდი წინაპრის იდეებს და ქვეყანაზე ვიფიქრებთ, და არა ტაშზე, ჩვენი პოლიტიკური ძალა ღირსი იქნება გამარჯვების," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

„მომავალი პრემიერ-მინისტრი მთავრობის გუნდიდან იქნება"

პირველი გვერდიდან

მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კი 24 ოქტომბერს ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში განაცხადა, რომ მომავალი პრემიერის კანდიდატურა სამშაბათს ან ოთხშაბათს გახდება ცნობილი.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის მტკიცებით, „ქართული ოცნების" ოფისში არჩევნების თემები განიხილებოდა. **„შეხვედრაზე იმიტომ ვიმყოფებოდი, რომ არჩევნებისთვის საქართველოში დამკვირვეულების მთელი არმიაა ჩამოსული. ამასთან, საქართველოში უცხოელი ჟურნალისტები იმყოფებიან. მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ ვიმსჯელეთ. არჩევნები ისე უნდა ჩატარდეს, როგორი შეფასებებიც ამჟამად საერთაშორისო დამკვირვებლებს აქვთ. ეს ალბათ საქართველოს ისტორიაში სამაგალითო არჩევნები იქნება,"** - ამბობს სახელმწიფო მინისტრი. პეტრიაშვილის თქმით, პოლიტსაბჭოს პრემიერის კანდიდატურის შესახებ არ უმსჯელია.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი კი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი იმ გუნდიდან არის, რომლითაც „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა. თუმცა, როგორც სუბარი ამბობს, მმართველ გუნდში ახალი პრემიერის კანდიდატურის შესახებ მოლაპარაკებები არ გამართულა. სუბარის თქმით, ამ საკითხის შესახებ შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი პარლამენტის თავმჯდომარეს ან კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატს ესაუბრა. **„იმ ნდობიდან გამომდინარე, რაც ბიძინა ივანიშვილს ჩვენგან აქვს, არავის ეპარება ეჭვი, რომ კანდიდატურა ღირსეული იქნება,"** - შენიშნავს სოზარ სუბარი.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე არ მოელის, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის პირობებში მინისტრთა კაბინეტი განსხვავებული შემადგენლობით ჩამოყალიბდება. მისი თქმით, გუნდში სრული თანხმობაა. **„ყველა ვფიქრობთ, რომ მთავრობა ძალიან კარგად მუშაობს. აქედან გამომდინარე, იმ ფორმალური ცვლილებების შემდეგ, რომელიც მინისტრების თავიდან დამტკიცებას გულისხმობს, ჩემი აზრით, სიურპრიზი არ გველოდება,"** - აღნიშნა ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძე იმის შესახებაც საუბრობს, რომ მას პრემიერობის კანდიდატურის ვინაობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, თუმცა ადასტურებს, რომ მთავრობის გუნდიდან იქნება. **„მეც თქვენსავით ველოდები და დარწმუნებული ვარ, სამშაბათს ან ოთხშაბათს მივიღებთ ისეთ კანდიდატს, რომელიც ყველას მოეწონება,"** - უთხრა ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

საკუთარი ინფორმაცია

„ნახვამდის, ბატონო პრეზიდენტო"

გუშინ პრეზიდენტის სასახლესთან გაიმართა გამოსამშვიდობებელი აქცია „ნახვამდის ბატონო პრეზიდენტო!"

აქციას, რომელიც მოძრაობა „პატრიოტების" ორგანიზებით ჩატარდა, სიმბოლური ხასიათი ჰქონდა.

ორგანიზატორთა განცხადებით, აქციის მიზანი მადლიერების გამოხატვა ოყო იმ დადებითისთვის, რაც მიხეილ სააკაშვილის მმართველობამ ქვეყანას მოუტანა. მათივე თქმით, სურთ, საერთაშორისო საზოგადოებას დაანახონ, რომ საქართველოს მოქალაქეები საღად აზროვნებენ და იმ პროგრესს აფასებენ, რომელსაც საქართველომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მიაღწია.

„აქციით მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში მიღწეული პროგრესისა და წარმატებებისთვის როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით, იმ დადებითისთვის, რაც ამ ადამიანის მმართველობამ ქვეყანას მოუტანა," - განაცხადეს მოძრაობა „პატრიოტებში".

მიხეილ სააკაშვილისთვის მოწყობილ გამოსამშვიდობებელ აქციაზე მხარდამჭერებმა მიიტანეს პლაკატები წარწერით: **„ნახვამდის, ბატონო პრეზიდენტო, მადლობა ყველაფრისთვის", „მომავალ შეხვედრამდე, პრეზიდენტო".**

აქციის მონაწილეების თქმით, გასული 9 წლის განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა და არ შეიძლება, ადამიანმა არ დაინახოს და არ დააფასოს ქვეყნის მიღწევები „ვარდების რევოლუციის" შემდეგ.

პრეზიდენტის რეზიდენციასთან გამოსამშვიდობებელი აქციაზე ცნობილი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილიც იმყოფებოდა.

მისი თქმით, ის ყველას მაგივრად უხდის პრეზიდენტს მადლობას და მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილი გენიოსია.

დაღესტანში ორი შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს

„ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, დაღესტანში ძალოვნებმა ორი შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს. ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადებით, შეიარაღებულ მებრძოლებს ორი დიდი კასრი გადაჰქონდათ, რომლებშიც ასაფეთქებელი ნივთერებები იყო მოთავსებული. ხასავიურტის რაიონში საგზაო ინსპექტორებმა მსუბუქი ავტომობილის გაჩერება სცადეს, თუმცა მასში მყოფმა პირებმა ინსპექტორებს ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლის დროს ავტომობილში მყოფი ორივე პირი დაიღუპა, დაიჭრა ერთი პოლიციელი. ამ დროისთვის მოკლულთა ვინაობას ადგენენ.

ირანს ატომური ბომბისთვის საკმარისი ურანის წარმოება ერთ თვეში შეუძლია

ირანს ბირთვული ბომბისთვის საჭირო ურანის შესაქმნელად, შესაძლოა, მხოლოდ ერთი თვე სჭირდება, - ამის შესახებ ამერიკაში არსებული მეცნიერებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ინსტიტუტის მიერ მომზადებულ მოხსენებაშია საუბარი. ამ მოხსენების გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე კი ამერიკელმა კანონმდებლებმა ირანისათვის სწორედ ბირთვული პროგრამის გამო დაწესებული სანქციების შერბილებაზე იმსჯელეს. ამ თემაზე კომენტარის მისაღებად „სი-ენ-ენი“ ირანის მთავრობის წარმომადგენლებთან დაკავშირებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ - პარასკევი ირანში დასვენების დღეა. 10 დღის წინ ირანსა და ე.წ „ექვსეულს“ შორის ქვეყნის ბირთვულ პროგრამის გარშემო მორიგი მოლაპარაკება გაიმართა, რომელსაც მხარეებმა „პირდაპირი და სერიოზული“ უწოდეს.

ბო სილაისთვის გამოტანილი განაჩენი ძალაში რჩება

ჩინეთის სასამართლომ ქვეყნის „კომუნისტური პარტიის“ კომიტეტის ყოფილი მდივნის ბო სილაის მიერ შეტანილი აპელაცია უარყო. სილაის კორუფციასა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ბო სილაიმ სამუდამო პატიმრობა 23 ოქტომბერს გაასაჩივრა. სამუდამო პატიმრობა მას 22 სექტემბერს მიუსაჯეს - სასამართლომ ყოფილი მაღალჩინოსანი უკანონო ქმედებების შედეგად 4,3 მილიონი დოლარის მიღებაში ცნო დამნაშავედ. ყველაფერი 2012 წელს დაიწყო, როდესაც ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული პოლიტიკოსი ჯერ კომიტეტის მდივნობიდან მოხსნეს, შემდეგ კი პარტიიდანაც გარიცხეს.

თურქმა მხატვრებმა და მუსიკოსებმა ოპოზიციური პარტია შექმნეს

თურქი მუსიკოსების, მხატვრებისა და ინტელექტუალების ჯგუფმა პარტია „გეზი“ დააარსა. პარტიას ეს სახელი თურქეთის იმ სკვერის პატივსაცემად უწოდეს, რომლის დასაცავადაც ზაფხულში თურქეთში ბევრ ქალაქში ათი ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. ამის შესახებ „ჰურიეთი“ წერს. ახალი პოლიტიკური გაერთიანება იუსტიციის სამინისტროში ჯერ კიდევ 1 ოქტომბერს დაარეგისტრირეს, თუმცა ოფიციალურად შექმნის შესახებ 24 ოქტომბერს გახდა ცნობილი. „გეზის“ ლიდერი 37 წლის როკმუსიკოსი რეშით ჯემ ქიუქსალი გახდა. „ჩვენ ყველას გვსურს დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება. ჩვენი უფლებების დასაცავად ქუჩაში გამოვედით და სისხლი დავღვარეთ. ახლა დროა, პარლამენტის საქმიანობაში მივიღოთ მონაწილეობა,“ - აღნიშნა მომღერალმა. პარტიის უმთავრესი ამოცანა ქვეყნის ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა იქნება, რომელიც მოქმედ კონსტიტუციაზე ბევრად დემოკრატიული უნდა იყოს.

ცნობისათვის - ზაფხულში ეკოლოგებმა გეზის პარკში სავაჭრო კომპლექსის აშენების წინააღმდეგ მშვიდობიანი აქცია წამოიწყეს, რომელიც აქტივისტების დარბევის შემდეგ მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში გადაიზარდა და თითქმის მთელ თურქეთს მოედო. ამ აქციებზე პრემიერ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის გადადგომას და ქვეყნის „მცოცავი ისლამიზაციის“ შეწყვეტას მოითხოვდნენ.

„ევროკავშირს აზერბაიჯანის „ლიბიად გადაქცევის“ მცდელობაში ადანაშაულებენ“

„EUobserver“-ის ცნობით, აზერბაიჯანის პარლამენტის წევრმა ევროპარლამენტი აზერბაიჯანის „პოლიტიკურად დაშლის“ მცდელობაში დაადანაშაულა, მას შემდეგ რაც ევროკავშირის ასამბლეამ აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებს გაყალბებული უწოდა. ელხან სულეიმანოვმა, პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან დაახლოებულმა პარლამენტარმა, რომელიც ასევე „ევრონესტში“ აზერბაიჯანის დელეგაციას უდგას სათავეში, თავისი გაბრაზება ევროპარლამენტის თავმჯდომარის მარტინ შულცისადმი მიწერილ წერილში გამოხატა. მან შულცი არეულობის „გაღვივებასა“ და „აზერბაიჯანის ლიბიად და სირიად გარდაქმნის მცდელობაში“ დაადანაშაულა. მისი თქმით, შულცის ქმედება სერიოზულ ზიანს აყენებს ევროკავშირის ასამბლეის რეპუტაციას და ის „ევრონესტში აზერბაიჯანის დელეგაციის აქტიურობას უშლის ხელს.“ მან ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისიც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ამ მისიამ საერთაშორისო დონეზე აზერბაიჯანი ნეგატიურად წარმოადგინა. 9 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, ოფიციალური მონაცემებით, მოქმედმა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გაიმარჯვა. ქვეყნის ოპოზიცია ამ გამარჯვებას არ აღიარებს და ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით 27 ოქტომბერს ბაქოში აქციის გამართვასაც გეგმავს.

მოამზადა თამთა კახაძემ

პუტინმა უკრაინას ორ სკამზე ჯდომის იმედი გადაუწურა

პირველი გვერდიდან

დღეისთვის ესენი არიან ყირგიზეთი და ტაჯიკეთი, მომავალში ალბათ სომხეთიც, რომელმაც ევროინტეგრაციაზე უარი თქვა და კვლავ რუსეთისკენ მიბრუნდა. საბაჟო კავშირის სამუშაო ორგანოს სხდომას დამკვირვებლის სტატუსით დაესწრო უკრაინის პრეზიდენტი იანუკოვიჩიც. ამ ორივე ფორუმის მასპინძელი, ცხადია, ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო იყო.

შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე, როდესაც პუტინს უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ ჰკითხეს, პრეზიდენტმა უპასუხა: „ეს ჩვენი საქმე არ არის. ეს უკრაინის საქმეა.“ რეპორტიორების შეკითხვაზე - შეძლებს თუ არა ამის შემდეგ უკრაინა საბაჟო კავშირში გაწევრიანებას, პუტინმა ლაკონურად უპასუხა: „არა, ეს შეუძლებელია.“ პუტინმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი იტოვებს უფლებას, ქვეყანა ევროპული საქონლის შემოდინებისგან დაიცვას და შესაძლოა, ვაჭრობის ის თავისუფალი ზონაც გაუქმდეს, რომელიც უკრაინასა და რუსეთს შორის მოქმედებს.

რუსეთის პრეზიდენტმა ვრცლად ილაპარაკა თავისი ამ პოზიციის ეკონომიკურ არგუმენტებზე. მისი თქმით, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ უკრაინის საქონელი ტექნიკური მახასიათებლებით ევროპული სტანდარტის იქნება. თვით უკრაინაც ევროპული საქონლით გაივსება და „გამოთავისუფლებული“ უკრაინული საქონელი რუსეთის ბაზრისკენ გადაინაცვლებს. უკრაინული დაერქმევა იმ საქონელსაც, რომელიც ამ სახელმწიფოში ევროპის სხვა ქვეყნებში ნაწარმოები დეტალებით აეწყობა. რუსეთს კი ამ ტიპის საქონლისგან თავისი ბაზრის დაცვა მოუწევს. პუტინის თქმით, ვაჭრობა არ შეწყდება, მაგრამ ამ ეტაპზე ამ მოცულობით ევროპული საქონლის შესვლა რუსეთის ეკონომიკისთვის მიზანშეუწონელია და შესაბამისად გაუქმდება ის შეღავათები, რაც უკრაინას რუსეთთან ვაჭრობაში ამჟამად აქვს.

პუტინს ასევე საჯაროდ, პრესკონფერენციაზევე უპასუხა იანუკოვიჩმა. ამ უკანასკნელის სიტყვებით, ასეთი ალტერნატივის შეთავაზება საფუძველშივე არასწორია. მან მსგავსი ეკონომიკური არგუმენტები მოიყვანა საკუთარი პოზიციის დასაცავად. იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ უკრაინის ევროპასთან ინტეგრაცია სასარგებლოა არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ მისი მეზობელი და პარტნიორი სახელმწიფოებისთვის პოსტსაბჭოთა სივრციდან. იანუკოვიჩი აცხადებს, რომ ევროპაში ინტეგრაციის შემდეგ უკრაინა სხვა სახელმწიფოებსაც შეუწყობს ხელს ამ გზის გავლაში. ამას გარდა, უკრაინაში მდებარე ერთობლივი საწარმოებიდან, რომლებიც საბაჟო კავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად იქნება შექმნილი, საქონელი უკვე ახლავე თავისუფლად შევა ევროპის ბაზარზეც. ანუ საქონლის მოძრაობა ორივე მხარეს ერთნაირად შეიძლება. ამ კომენტარის შემდეგ კიდევ ერთხელ აშკარად გამოჩნდა, რომ იანუკოვიჩს პრინციპში არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს.

თუმცა ამის შემდეგ პუტინმა ისევ აიღო სიტყვა და კვლავ განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია და უკრაინას არჩევანის გაკეთება მოუწევს. თავისი პირდაპირი განცხადებებით ცნობილმა ალექსანდრ ლუკაშენკომ უკრაინას კვლავ მოუწოდა საბაჟო კავშირში გაწევრიანებისკენ.

საინტერესოა, რომ პარასკევს, უკვე დსთ-ს სამიტის შემდეგ ლუკაშენკომ დსთ-ში დაბრუნებისკენ საქართველოსაც მოუწოდა და თან განაცხადა, რომ ეს ამ გაერთიანებაში მყოფი ყველა პრეზიდენტის აზრია. მას მხარი დაუჭირა უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმაც (2014 წელს უკრაინა ხდება დსთ-ს თავმჯდომარე) და თქვა, რომ „დსთ-ს კარი საქართველოსთვის ისევ ღიაა“.

სამეულის (რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი) განცხადებით, საბაჟო კავშირთან ინტეგრაცია უკრაინის გარეშეც ბევრ ქვეყანას სურს. უკვე ნახსენები სომხეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის გარდა, თურქეთი, სირია და ინდოეთი დაასახელეს. ჯერჯერობით ლაპარაკია მხოლოდ მჭიდრო თანამშრომობაზე და არა წევრობაზე, თუმცა „მასპინძლები“ ამის წინააღმდეგნი არ არიან. „მე თურქეთის პრემიერ-მინისტრს ვესაუბრე - მათ საბაჟო კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა სურთ. ჩვენ ამაზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ,“ - განაცხადა პუტინმა. მისივე თქმით, ინტერესი გამოხატა ინდოეთმაც. ამ საკითხის კომენტირებისას ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა აღნიშნა, რომ საბჭო კავშირში თურქეთის (მით უმეტეს ინდოეთის) გაწევრიანებით ბოლო მოეღება იმაზე საუბარს, რომ ვინმეს საბჭოთა კავშირის აღდგენა სურს.

გუშინვე ამ თემას ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულციც შეეხო. მისი სიტყვებით, ევროკავშირის პროგრამა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე ქვეყნები იძულებულები არ უნდა გახდნენ, არჩევანი ევროკავშირსა და რუსეთს შორის გააკეთონ. „ყველა ქვეყნის სუვერენული უფლებაა, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, ვისთან დადოს სავაჭრო შეთანხმება და რომელ ეკონომიკურ ბლოკში გაწევრიანდეს. საქმე ევროკავშირსა და რუსეთს შორის არჩევანს არ ეხება,“ - ნათქვამია შულცის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. შულცი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირთან უკრაინის მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს: „ეს ყველა ჩვენგანის ინტერესებშია,“ - აღნიშნავს მარტინ შულცი. მან იმედი გამოთქვა, რომ ნოემბერში დაგეგმილ ვილნიუსის სამიტზე უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმებას მოეწერება ხელი.

მოსმენების საერთაშორისო სკანდალი ძალას იკრებს

პირველი გვერდიდან

ირკვევა, რომ ამერიკელები 35 სახელმწიფოს პირველ პირს უსმენდნენ, თუმცა ამ ქვეყნების ჩამონათვალი მოყვანილი არ არის.

ევროკავშირის სამიტზე, ანგელა მერკელისა და ფრანსუა ოლანდის დაჟინებული მოთხოვნით, ამერიკელების მიერ ევროპელი მოკავშირეების თვალთვალის საკითხი განხილვის მთავარ თემად იქცა. ამან ნაწილობრივ დაჩრდილა დღის წესრიგის მთავარი პუნქტები - ეკონომიკის რეცესიიდან გამოსვლა და იმიგრაცია. სამიტის ფარგლებში მერკელისა და ოლანდის ორმხრივი შეხვედრაც შედგა, რომელზეც ასევე მოსმენების თემა ფიგურებდა.

გერმანიის კანცლერმა მერკელმა თავისი პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბა, რომლის თანახმადაც, ევროპის სახელმწიფოებისა და აშშ-ის ურთიერთობებში უსაფრთხოების საკითხებში რადიკალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს. კანცლერის თქმით, აშშ და გერმანია მოკავშირებად რჩებიან, მაგრამ სპეცსამსახურების თანამშრომლობის საკითხი სერიოზულად იქნება გადასახედი. მერკელმა განაცხადა, რომ ამერიკისგან ბოდიშს არ ელოდება და არც ფიქრობს, რომ ვინმე ბოდიშს მოიხდის, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ სიტყვები საკმარისი არ იქნება. მერკელი რეალურ ცვლილებებს მოითხოვს. ასევე გამოცხადდა, რომ გერმანია და საფრანგეთი ამ საკითხებს ამერიკასთან ორმხივ მოლაპარაკებებში წლის ბოლომდე გაარკვევენ. საქმე შორს არ გადაუდიათ და აშშ-ში უკვე გაემგზავრა გერმანიის სამთავრობო დელეგაცია, რომელშიც, ძირითადად, სპეცსამსახურების ხელმძღვანელები და მათი თანმხლები პირები შედიან. ამ საკითხს, თავისი მხრივ, გერმანიის პროკურატურაც სწავლობს. მათ აინტერესებთ, ხომ არ ვრცელდება ამ საქმიანობაზე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 99 მუხლი, რომელიც აგენტურული საქმიანობისთვის სასჯელს ითვალისწინებს.

ამ საკითხში ერთმანეთს სოლიდარობა გამოუცხადეს ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ და ევროკავშირის ხელმძღვანელებმა. ალბათ დღეს ან ხვალ განცხადებებს იმ ქვეყნების ლიდერებიც გააკეთებენ, რომლებიც ჯერ საქმეში აქტიურად არ ჩართულან. იტალიის ექს-პრემიერმა რომანო პროდიმ თქვა, რომ მას ჯერ კიდევ 10 წლის წინ უსმენდნენ, როცა ევროკომისიის პრეზიდენტი იყო და ამის მტკიცებულებებიც მოიყვანა. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად და ტერორიზმთან საბრძოლველად ინფორმაციის შეკრება აუცილებელია, მაგრამ ამ ჩარჩოებში არანაირად არ ჯდება ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების ან ევროკავშირის ხელმძღვანელების ტელეფონების მოსმენა. ევროპარლამენტის თავმჯდომარემ მარტინ შულცმა ირონიულად განაცხადა, რომ ამერიკელებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ - ევროკავშირის ხელმძღვანელობიდან ტერაქტებს არავინ გეგმავს.

გერმანიამ და ბრაზილიამ გაეროში ერთობლივად დააყენეს რეზოლუციის მიღების საკითხი, რომელიც ინტერნეტში ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას დაიცავს. მათ ევროპის და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებთან წინასწარი კონსულტაციები გაიარეს. ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფიც „დაზარალებულებს“ შორისაა და ამაზე უკვე რამდენჯერმე წერდა „24 საათი“. დილმა რუსეფმა, რომელსაც მერკელთან ისედაც შესანიშნავი ურთიერთობა აქვს, გერმანიის კანცლერს სოლიდაროობა ამჯერადაც გამოუცხადა და აშშ ჯაშუშობისთვის გუშინ კიდევ ერთხელ გააკრიტიკა.

მიმომხილველების აბსოლუტური უმრავლესობა მსოფლიოში, ისევე როგორც ჩვენც წინა სტატიებში, ამ თემაზე ირონიანარევად წერს. ცხადია, სნოუდენს რაიმე განსაკუთრებული სიახლე არ გამოუქვეყნებია. ყველა სახელმწიფოს ხელისუფლება სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას თვითონაც ცდილობს და ისიც იცის, რომ მოსმენის მსხვერპლი შეიძლება, მათი სტრუქტურებიც გახდეს. გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოსმენა (მაგალითად, რუსეთის და ჩინეთის აშშ-ს მხრიდან და პირიქით) ლამის ღიად მიმდინარეობს. მაგრამ მოკავშირეების მიმართ ამერიკის ასეთი უნდობლობა ნამდვილად შეურაცხმყოფელია. საერთოდაც, თვალყურის დევნების მასშტაბებით აშშ-ს ალბათ ვერავინ შეედრება. ისიც დაიწერა, რომ 35 სახელმწიფოს პირველი პირის მოსმენით ამერიკელებს, „თურმე“, მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაცია არ მოუპოვებიათ. ეს გასაკვირი არ არის, სახელმწიფოს მეთაურები მობილური ტელეფონით სახელმწიფო საიდუმლოებების შესახებ არ საუბრობენ.

ამერიკელები, მაგალითად ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი თავისი ქვეყნის „მდგომარეობიდან გამოყვანას“ სწორედ მსგავსი არგუმენტებით ცდილობს. ის ამტკიცებს, რომ თანამდებობაზე ყოფნისას მასაც უსმენდნენ იგივე ფრანგები. მიუხედავად ამისა, თვით ამერიკელი დიპლომატები, ვისაც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, ანონიმურად აღიარებენ, რომ შეერთებულ შტატებს ნდობის აღდგენა ძალიან გაუჭირდება.

იშხანი - შეხვედრა რესტავრაციის განსახილველად

25 ოქტომბერს 12:00 საათზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, იშხანის სარეაბილიტაციო სამუშაობის მიმდინარეობის მორიგი ანგარიშის პრეზენტაციას გამართავენ. გურამ ოდიშარია ისაუბრებს 27-29 ოქტომბერს სტამბოლში დაგეგმილ საერთაშორისო აბრეშუმის გზის კონგრესზე", სადაც მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის ომერ ჩელიკის მოწვევით გაემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში გურამ ოდიშარია კოლეგას ტაო-კლარჯეთში ქართული ძეგლების საკითხებზე სასაუბროდ შეხვდება და ქართული დელეგაციის უკვე მეხუთე ვიზიტს შეაჯამებს.

თურქეთში ქართველ სპეციალისტთა რიგით მეხუთე სამუშაო შეხვედრა დასრულდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მერაბ ბოჭოიძის უშუალო ხელმძღვანელობით წარმართული თანამშრომლობა თურქ კოლეგებთან ახალ ფაზაში შევიდა. შედეგად, თურქული მხარე მტკიცე მზადყოფნას აცხადებს, რომ ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი არქიტექტურული კომპლექსების - იშხნის და შემდგომ ოშკის რეაბილიტაცია ქართველი და თურქი სპეციალისტების ერთობლივი მეთოდოლოგიური ზედამხედველობით უნდა გაგრძელდეს, რომლის ფორმატში ქართველი სპეციალისტების პროფესიული აზრი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

იშხნის იერსახის შენარჩუნებისთვის სამუშაოების წარმოება სარესტავრაციო პრაქტიკაში მიღებული ნორმების დაცვით მიმდინარეობს. სამუშაო ჯგუფმა ამ დროისთვის უკვე მოამზადა რეკომენდაციები, რომელიც თურქეთში გადაიგზავნება.

საგულისხმოა, რომ სამუშაო ვიზიტის მორიგი რეკომენდაციები დიდწილად ეხება არა უკვე შესრულებული სამუშაოების გამოსწორების გზებზე და მეთოდებზე მსჯელობას, როგორც ეს იყო თანამშრომლობის პირველ საფეხურზე, არამედ სამუშაოების იმ ახალი ეტაპების ერთობლივ დაგეგმვას და განხორციელებას, რომელიც იშხნის რეაბილიტაციის წარმატებულ განხორციელებას ისახავს მიზნად.

24 საათი

VII ეპიზოდი: გადატვირთვა

ლორენს კაზდანმა და ჯეი ჯეი აბრამსმა მაიკლ არნდტი ჩაანაცვლეს

ია ვეკუა

რამდენიმე თვის წინ ინტერნეტში ერთი სამოყვარულო პაროდიული ვიდეო გამოჩნდა. მსახიობი „ვარსკვლავური ომების" ახალი ეპიზოდის სცენარის წერის პროცესში მყოფ მაიკლ არნდტს („პატარა მის ბედნიერება", „სათამაშოების ისტორია 3") ანსახიერებდა. ვიდეო სასაცილო იყო, მიუხედავად იმისა, რომ „მაიკლ არნდტის" ტანჯვას ვადევნებდით თვალს. „პატარა მის ბედნიერებისთვის" „ოსკარის" მფლობელი სცენარისტი ვერაფრით ახერხებდა ჯორჯ ლუკასის მიერ გამოგონილი სამყაროს კარი გაეღო, შიგნით შეეღწია და ასე მაინც გაეგო, რაზე და როგორ უნდა დაეწერა. გავიდა დრო და ამ ვიდეოში ასახული ამბავი რეალობად იქცა - მეტ-ნაკლები გამოცდილების მიუხედავად მაიკ არნდტმა ვერაფრით შეძლო ღირსეული სცენარის დაწერა, ამიტომ საქმე „ვარსკვლავური ომების" სპეციალისტს გადააბარეს.

ამის შესახებ სტუდია „დისნიმ" და პროდუსერმა კეტლინ კენედიმ გუშინ გამოაცხადეს. ოფიციალური ვერსიით არნდტის მიერ გაწეული დიდი შრომის მიუხედავად მისი ნამუშევარი მაინც მოითხოვს კორექტივებს, კულუარული ინფორმაციით კი საქმე სულ სხვაგვარადაა და „დისნისთან" თანამშრომლობაში განაფულმა სცენარისტმა ზედმეტად პოზიტიური და ვარდისფერი, ერთი სიტყვით, ძალიან „დისნეური" ისტორია შექმნა.

სწორედ ეს გახლავთ „დისნის" საქმისადმი სწორი დამოკიდებულების ჩინებული ნიმუში - ტრადიციებისადმი ერთგულებით ცნობილმა სტუდიამ საკუთარი ინტერესები და დახარჯული ფინანსები უკანა პლანზე დააყენა და პროექტის ავტორებს ისეთი სცენარის შექმნა მოსთხოვა, რომელიც ნამდვილად შეეფერება „ვარსკვლავურ ომებს".

ჩვენს გალაქტიკაში ამ ფრენჩაიზის სრულყოფილად მცოდნე არც ისე ბევრი ადამიანია. მე მხოლოდ ორს ვიცნობ: ჯორჯ ლუკასსა და ლორენს კაზდანს. „დისნიმ" და კეტლინ კენედიმაც არჩევანი სწორედ ამ უკანასკნელზე გააკეთეს და უკვე ოფიციალურად შეიძლება ითქვას, რომ VII ეპიზოდის სცენარზე ლორენს კაზდანი მუშაობს, რომელსაც პროექტის რეჟისორი ჯეი ჯეი აბრამსი ეხმარება.

მანამდე კაზდანს მხოლოდ კონსულტანტის ფუნქცია ჰქონდა მიკუთვნებული, „ვარსკვლავური ომების" ფანებს კი მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი როლი ემეტებოდათ, რადგან სწორედ ის გახლავთ ფრენჩაიზის საუკეთესო, V და VI ეპიზოდების სცენარის ავტორი (ცხადია, არც IV ეპიზოდის მიმართ მაქვს პრეტენზია, მაგრამ, წმინდა კინემატოგრაფული თვალსაზრისით, კაზდანის მიერ დაწერილი ისტორიების ეკრანიზაცია საუკეთესოა. ...თუმცა III ეპიზოდიც უდავოდ ეპიკურია) და ლუკასის მიერ გამოგონილ სამყაროსაც საუკეთესოდ იცნობს.

ამბავი იმდენად ახალია, რომ ჯერჯერობით დეტალები არ კონკრეტდება. ზოგი წყაროს მიხედვით ჯეი ჯეი აბრამსი და ლორენს კაზდანი ახალ სცენარს მაიკლ არნდტის ნამუშევარზე დაყრდნობით შექმნიან, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან არნდტის გვარი უკვე ამოღებულია ფილმის ქასთიდან. სხვა წყაროების თანახმად კი კაზდანი-აბრამსი არა მხოლოდ ახალ სცენარს დაწერენ, არამედ სიუჟეტი სულ სხვა ეპოქაში გადააქვთ. „ვარსკვლავური ომების" ფანებისთვის კი ეს სამოთხის კარის გაღების, საქართველოს ნატოში შესვლისა და ჩვენი საფეხბურთო ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის ტოლფასია.

მოგეხსენებათ, „ვარსკვლავური ომების" გაფართოებული სამყარო გაცილებით ვრცელია, ვიდრე ექვსი ფილმი ან ხუთსეზონიანი „კლონების ომია". ამ დროისთვის ასი ათასობით წელზე გადაჭიმული ისტორია არსებობს, ფილმებში მოთხრობილ ამბავს კი 50-იოდე წელიწადი უკავია. კომერციული თვალსაზრისით ძველი მსახიობების (მარკ ჰემილი, ჰარისონ ფორდი, კერი ფიშერი) ეკრანზე დაბრუნება გამართლებულია, მით უმეტეს, რომ „ჯედაის დაბრუნების" შემდეგაც მათი პერსონაჟების თავზე არა ერთი წისქვილის ქვა დატრიალდა (ადმირალი ტრაუნი, პალპატინის კლონის დაბრუნება, იუჟან ვონგების შემოსევა და ა.შ.), მაგრამ ფრენჩაიზის ყველა მცოდნე თანხმდება, რომ დროა მაყურებელს ათასობით წლით ადრე მომხდარი ისტორიებიც გავაცნოთ, ძველი რესპუბლიკის, სითების პირველი აჯანყების თუ ამავე სითებისა და ჯედაების დაპირისპირების დაწყების დროინდელი, ან მაშინდელი, როდესაც 900 წლის იოდა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო და სინათლის მახვილის დასამზადებლად გამოქვაბულში კრისტალს ეძებდა.

თითქმის ერთი წლის წინ დანიშნული სცენარისტის შეცვლა, ცხადია, პროექტს რამდენადმე შეაფერხებს, თუმცა კეტლინ კენედი აცხადებს, რომ, როგორც დაგეგმილი იყო, გადაღებებს 2014 წის ზაფხულში დაიწყებენ, ფილმი კი ერთი წლის შემდეგ გამოვა და გავიგებთ კიდეც, VII ეპიზოდი ჰან სოლოსა და ლეა ორგანას შვილების ტრაგიკულ ბედზეა, ჯედაების ორდენის დაარსებაზე თუ ჯარ ჯარ ბინქსის სასიყვარულო ისტორიაა.

მანამდე კი დაე, ძალა იყოს ლორენს კაზდანთან და ჯეი ჯეი აბრამსთან!

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023338

შემსყიდველი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 16:35
წინადადებების მიღება იწყება	29.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	31.10.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	31060 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50700000-შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50720000-ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	300 ლარი
გარანტიის ოდენობა	311 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023323

შემსყიდველი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 15:41
წინადადებების მიღება იწყება	14.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	19.11.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1750 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	42100000-დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	42100000-დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	18 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023324

შემსყიდველი	შპს "საქართველოს ფოსტა"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 15:44
წინადადებების მიღება იწყება	29.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	31.10.2013 16:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	66000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30232110-ლაზერული პრინტერები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	800 ლარი
გარანტიის ოდენობა	660 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023266

შემსყიდველი	თვითმმართველი ქალაქი ფოთი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 09:58
წინადადებების მიღება იწყება	29.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	31.10.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3031 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	39200000-ავეჯის აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	39224000-ცოცხები და ჯაგრისები და სხვა სხვადასხვა ტიპის ნივთები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან 30 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	30 ლარი
გარანტიის ოდენობა	30 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023333

შემსყიდველი	შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სასაზღვრო პოლიცია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 16:07
წინადადებების მიღება იწყება	10.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.11.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8980 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15300000-ხილი, ბოსტნეული და მონათესავე პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15332290-ჯემები, 15332410-გამხმარი ხილი/კერკი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალებდარულ დღეში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	80 ლარი
გარანტიის ოდენობა	90 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023329

შემსყიდველი	შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სასაზღვრო პოლიცია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 15:57
წინადადებების მიღება იწყება	10.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.11.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1665 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15871000-ძმარი; სოუსები; საკმაზების ნარევი; მდოგვის ფხვნილი და ფქვილი; მზა მდოგვი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	1125 ლ
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	15 ლარი
გარანტიის ოდენობა	17 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023337

შემსყიდველი	თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 16:31
წინადადებების მიღება იწყება	10.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.11.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	48000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33600000-ფარმაცევტული პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	850 ლარი
გარანტიის ოდენობა	480 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023264

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	24.10.2013 23:55
წინადადებების მიღება იწყება	29.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	31.10.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	7780 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	24900000-სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	24900000-სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	78 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023265

შემსყიდველი	საქ.სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 00:07
წინადადებების მიღება იწყება	13.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	18.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	24000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33124120-ულტრაბგერითი დიაგნოსტიკური აპარატურა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	3 ერთეული
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღის განმავლობაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	200 ლარი
გარანტიის ოდენობა	240 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023328

შემსყიდველი	აფხაზეთის შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	25.10.2013 15:56
წინადადებების მიღება იწყება	10.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.11.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	85100000-ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	85112200-ამბულატორიული მკურნალობა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	2 ეპიზოდი/ვიზიტი
მოწოდების ვადა	2013 წლის 25 დეკემბერი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	40 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

გოგიტა გოგუა: „ფეხბურთისა და პირადი ურთიერთობის არევა არ შეიძლება"

პირველი გვერდიდან

- გულშემატკივრებს იქ დღემდე ვახსოვარ, რაც ძალიან სასიამოვნოა. 2006 წელს გუნდის საუკეთესო ახალწვეული გავხდი. შემდეგ ნალჩიკიდან სხვა გუნდებში გადავდიოდი, კერძოდ, „სატურნსა" და „ტერეკში", მაგრამ ისევ უკან ვბრუნდებოდი, რადგან „სპარტაკში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი.

- ყოველი მატჩის შემდეგ ხაბაროვსკელი გულშემატკივრები საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ხმას აძლევენ, სადაც თქვენ მეორე ადგილზე ხართ. მხოლოდ გიორგი ნავალოვსკი გჯობნით.

- რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ, მაგრამ ხაბაროვსკში უფრო მეტად სხვა რამ მაღელვებს: ფეხბურთი მეორე ადგილზე რატომ არის, ცოტა მაყურებელი რატომ დადის, არ ვიცი. შედეგით თუ ვიმსჯელებთ, გუნდი არცთუ ცუდად გამოდის. მით უმეტეს, ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენ ვართ - ხანგრძლივი ფრენა, დაღლილობა. სხვა ფეხბურთელებივით დასვენების საშუალება რომ გვქონდეს, შედეგი უკეთესი იქნებოდა. ვინც აქ თამაშობენ, მათ ძეგლი უნდა დაუდგან. ხაბაროვსკში თამაში ძალიან ძნელია, რადგან დროში დიდი სხვაობაა და ბევრი ენერგია ფუჭად იხარჯება.

- ესე იგი, ეთანხმებით მთავარ მწვრთნელს, ვალდას ივანაუსკასს, რომელიც ამბობს, „ჩემი ფეხბურთელები რობოტებივით არიანო"?

- ვეთანხმები, რადგან ისიც ასეთ მდგომარეობაშია. ყველასთვის ძნელია, მათ შორის, სამწვრთნელო შტაბისთვის. კარგია, რომ ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის ნორმალური დამოკიდებულებაა. მთლიანობაში, კლუბში კარგი სიტუაციაა. მეგობრული გუნდი ვართ.

- გუნდში მშობლიურ ენაზე საუბრობთ?

- ხშირად. ფეხბურთელებმა იციან, რომ მე და გიორგი ნავალოვსკი ერთმანეთს ქართულად ველაპარაკებით, რასაც ჩვეულებრივ აღიქვამენ. ბრაზილიელებიც ხომ მშობლიურ ენაზე ელაპარაკებიან ერთმანეთს. რუსული ისე კარგად არ ვიცით, როგორც ჩვენი ენა.

- მოთამაშეებმა ხომ არ გთხოვეს, რაიმე ქართული სიტყვა გესწავლებინათ?

- ისედაც ყველაფერი იციან. განსაკუთრებით „ლამაზი" სიტყვები სხვადასხვა ენაზე.

- კლუბის გენერალურმა დირექტორმა სერგეი ფელდმანმა თქვა, რომ კერძებს თავად იმზადებთ. თქვენი საყვარელი კერძი...

- ყველას ვერ ჩამოგითვლით. ეს საიდუმლოა. დიახ, ვამზადებ. ვერ გეტყვით, რომ ეს საქმე ძალიან მიყვარს, მაგრამ... მე ძალიან კარგად ვამზადებ. ბიჭები ჩემთან ყოფილან და უჭამიათ. კომპანიები მიყვარს. მარტო სახლში ჯდომა მოსაწყენია.

- მაინც რომელ კერძს ამზადებთ?

- ჩემი საყვარელი კერძი ჩახოხბილია, რომელიც მთელ გუნდს მოსწონს. ყველა ითხოვს: „გოგა, „ჩახოხბილი" როდის იქნება?" მის მომზადებას დიდი დრო უნდა.

- რადგან მომზადება გიყვართ, იქნებ ერთხელ მზარეულად მოგესინჯათ თავი?

- არა, არა. სხვათა შორის, კერძების მომზადება ცოლმა მასწავლა. როგორც გითხარით, ეს საქმე მაინცდამაინც არ მომწონს, მაგრამ ფეხბურთელი ვარ და კარგი კვება აუცილებელია.

- ხაბაროვსკში თუ ყოფილხართ რესტორანში, სადაც ქართულ კერძებს ამზადებენ?

- აქ ასეთი რესტორანი არ არის.

- 2011 წლის 27 მარტს, ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში ხორვატიასთან ჩატარებული მატჩის მეორე დღეს, თქვენ და საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას შორის კონფლიქტი მოხდა. ამ კონფლიქტის შემდეგ ნაკრებში ადგილი დაკარგეთ...

- სალაპარაკო არაფერია. მთელმა საქართველომ იცის, რაც მოხდა. ნაკრებში ყოველთვის ვთამაშობდი, მაგრამ ვიდრე იქ ახლანდელი მწვრთნელი მუშაობს, არა მგონია, გუნდში დავბრუნდე. ფეხბურთისა და პირადი ურთიერთობის არევა არ შეიძლება. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ნაკრებში გამოძახება დიდი ამბავია. ჯერ 30 წლის ვარ და ნაკრებში თამაშს კიდევ ვაპირებ. ეროვნული გუნდის გამოსვლას თვალს ვადევნებ. ნაკრების თამაშების დროს არის სიტუაციები, როდესაც სხვა ფეხბურთელის ადგილზე წარმოიდგენ თავს და ფიქრობ, რომ მათზე ნაკლები არ ხარ.

- თქვენი საყვარელი კლუბი რომელია?

- „ბარსელონა" - მსოფლიოში ყველაზე ტექნიკური გუნდი.

- ამ კლუბში სათამაშოდ რომ მიეწვიეთ, ოღონდ უხელფასოდ, დათანხმდებოდით?

- რა თქმა უნდა. ეს ხომ ნებისმერი ფეხბურთელის ოცნებაა.

- ვინ არის თქვენი საყვარელი ფეხბურთელი?

- ლიონელ მესი.

- თქვენს კარიერაში იყო მომენტი, როდესაც ევროპაში თამაშის შანსი გქონდათ - შოტლანდიური „ჰართსი" გეპატიჟებოდათ.

- მაშინ ამ გუნდს ვალდას ივანაუსკასი წვრთნიდა. უბრალოდ, სამუშაო ვიზა არ მომცეს. ამის შემდეგ „სატურნში" დავბრუნდი, სადაც ერთი სეზონი ჩავატარე და მერე ნალჩიკის „სპარტაკმა" შემიძინა. იმ პერიოდში ვალდასთან ერთად მუშაობამ არ მომიწია, სამაგიეროდ ახლა ვმუშაობ. ბედმა მაინც შეგვახვედრა ერთმანეთს.

- სათამაშო ფორმას რამდენ ხანში იცვამთ?

- შვიდი წუთი მაინც მჭირდება. ჯარში ხომ არ ვარ. იქ ასანთს აანთებენ და სანამ ჩაქრება, ფორმა უნდა ჩაიცვა.

- თვალდახუჭული ბურთს კარში მოახვედრებთ?

- გააჩნია, საიდან დავარტყამ.

(თარგმანის გარეშე):

- Три слова на букву „ж", которые первыми приходят в голову?

- Женщины, женщины, женщины. Я же грузин!

კევინის სეზონი

ზურა თალაკვაძე

ალბათ ლებრონ ჯეიმსი ისევ ფინალში გავა. და „მაიამისთვის" სეზონი აპრილიდან იწყება. სხვებისთის სეზონი აპრილამდე მიდის.

ალბათ დერიკ როუზი რეგულარულის ჰიტი იქნება. და ალბათ „ჩიკაგო" ლუოლ დენგს ახალ კონტრაქტს გაუფორმებს. როუზი და დენგი სახიფათო თემაა.

ალბათ ლუის სკოლა „ინდიანას" დააბალანსებს და როი ჰიბერტს ბევრ საინტერესო კონსპექტს წააკითხებს. სკოლა ოლიმპიადას იგებდა და ჰიბერტი ჯერ სტუდენტია.

ალბათ ბრუკლინში ჯეისონ კიდის ლექციებს ყურადღებას მიაქცევენ. შეიძლება არც მიაქციონ. „ბრუკლინში" გარნეტი, დერონი, პირსი, კირილენკო და ჯონსონი დაილაპარაკებენ.

ალბათ „ჰიუსტონმა" ჯეკპოტი მოხსნა. და ჯეკპოტი მხრებში გაიშლება, ერთს ამოიხვნეშებს და დაიწყებს სხვა ჯეკპოტების მოხსნას. ჯეკპოტი დუაიტ ჰოვარდია და ჯეიმს ჰარდენს გაუმართლა.

ალბათ ტიმ დანკანი დაისვენებს. შარშანდელი რენესანსი დასრულდა და შარშანდელი დანკანი იყო კალათბურთის გოია. გამოფენა დაიხურა. ახალი გამოფენა იწყება. ისევ ტიმისთან ერთად.

ალბათ ბოსტონში უფრო მეტს მოიგებენ, ვიდრე უნდა მოიგონ და ალბათ „ბოსტონი" ფლეი ოფში ვერ გავა. ალბათ რაჟონ რონდო მალე



კევინ დიურანი

დაბრუნდება და იქ ძველ ბიჭებს ვერ დაინახავს. კევინს, პოლს, სხვებს.

ალბათ „გოლდენ სტეიტი" წელს ბევრს მოიგებს, აუცილებელ გამოცდილებას მიიღებს და ფლეი ოფის მეორე წრეში გავარდება. იქ დანკანები და პრინციპები მოქმედებს. ამ გუნდისთვის ჯერ ადრეა და მალე ოკლენდის ბანდაც მოიგებს მოსაგებს. დევიდ ლისთან, სტივ კარისთან, დიდ ბოგატთან ერთად.

ალბათ ლებრონ ჯეიმსი მოტივაციას მარტიდან გახსნის და შეიყნოსავს. და წამოიღებს. ლებრონი ისევ ის შეუჩერებელი ნარკომანი გახდება, რომელიც კალათბურთზე ზის. ლებრონს ვერ მოხსნიან. ლებრონი სხვებს მოხსნის. ალბათ ეს უკვე დოგმაა. ლებრონის დოგმა.

ალბათ კევინ დიურანი უკეთესი გახდება. ძველ კევინზე უკეთესი და წინა დიურანზე სრულყოფილი. ალბათ რას უესთბრუქის ტრავმა დიურანზე ცუდად არ იმოქმედებს. არც კარგად იმოქმედებს. კევინისთვის ამ ტრავმას მნიშვნელობა არ ექნება. „ოკლაჰომას" ლიდერი მაინც დიურანია და 25 წლის ფორვარდმა ისწავლა მოგება. და წაგებაც. რასთან და რასის გარეშე. კევინი მზად არის ახალი უბნის დასათვალიერებლად. დიურანი ახალ სეზონს ახალი გუნდით და ძველი ტკივილით იწყებს. ის ტკივილი ლებრონია და კევინმა ის ტკივილი უნდა ამოიღოს. ის ტკივილი ზედმეტია.

„ოკლაჰომა" იცვლება და დიურანი იზრდება. ჯეიმს ჰარდენი გამოუცდელმა ჯერემი ლემბმა შეცვალა. წავიდა კევინ მარტინი, აზრზე მოსაყვანია პირველწლიანი დიდი ბიჭი სტივენ ადამსი და ამას კევინმა უნდა მიხედოს. თუ „ოკლაჰომას" არ ჩაეძინება, კევინი ბოლომდე გავა. ლებრონთან ბოლო გასაუბრებამდე და მერე ვნახოთ...

ალბათ ბოლო გასაუბრება საინტერესო იქნება. ლებრონი და კევინი. თუ ამ საუბარში მოხუცები არ ჩაერევიან. ხანდახან მოხუცებიც ახალგაზრდულად თამაშობენ. ალბათ ამას მალე ვნახავთ.

დიურანი მოდის.

ბექა ღვინიაშილი მსოფლიო ჩემპიონია

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ.), ლუბლიანას მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩემპიონობა იზეიმა და იქვე დუბლი შეასრულა - წლეულს ახალგაზრდების ევროპირველობაზე მოპოვებულ ოქროს მედალს მსოფლიო ხარისხის ოქროს მედალიც შემატა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველმა ძიუდოისტმა, ლუბლიანაში, სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ხუთივე შთამბეჭდავად - იპონებით მოიგო.

მსოფლიო ჩემპიონატის პირველ დღეს ბრინჯაომდე გზა გაიკვალა ლერი ჭელიძემ (55 კგ.). თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლით საქართველო ნაკრები ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილის თანაზიარია, საფრანგეთთან და საბერძნეთთან.

ვახტანგ ბლაგიძეს ოზურგეთში ვარსკვლავი გაუსხნეს

გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თაოსნობით, ოზურგეთის სპორტის სასახლის წინ გაიხსნა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონის ვახტანგ ბლაგიძის ვარსკვლავი.

გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები.

ცერემონიალზე ლევან ყიფიანმა ტიტულოვანი ფალავანი სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა. ვახტანგ ბლაგიძე დაჯილდოვდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის - ფილას ოქროს ორდენითაც.

„ორი და ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი კი არ უნდა გვყავდეს, არამედ ბევრი ასეთი უნდა გაიზარდოს. გურიიდან ოთხი ოლიმპიური ჩემპიონია. მინდა მათმა რიცხვმა იმატოს", - დაჯილდოების ცერემონიალზე თქვა ვახტანგ ბლაგიძემ.

გუშინდელი დღე მარტო ჯილდოების გადაცემითა და ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალით არ შემოფარგლულა. ოზურგეთის სპორტის სასახლეში დაიწყო ვახტანგ ბლაგიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირიც, რომელიც ტრადიციული გახდება. ტურნირზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ნაკრებებთან ერთად სომხეთის გუნდმაც იასპარეზა. უნდა ჩამოსულიყვნენ აზერბაიჯანისა და რუსეთის გუნდებიც, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა.

ვახტანგ ბლაგიძის ოლიმპიური ვარსკვლავი თბილისში - ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტშიც გაიხსნება.

დაიწყო 18-წლამდელთა თბილისის ჩემპიონატი

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი გახსნეს. 16-წლამდელთა ტურნირის დასრულების შემდეგ, კიდევ ერთი ასაკობრივი ჩემპიონატის დაწყება მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია იმ ვოიაჟის, რომელიც თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა და ფედერაციამ დაიწყეს. ისევე როგორც წინა ივენთის, ამ ტურნირის მიზანიც საქართველოს ჩემპიონატზე გამსვლელი გუნდების გამოვლენაა. კარგად დაბალანსებულ კლუბებში საუკეთესო საუკეთესოდ დასახელდება. ტურნირი ახალი დაწყებულია. ტურნირზე ბევრი პრინციპული დაპირისპირება იქნება და ამ ასაკში ბევრი ნიუანსის გამოსწორება შეიძლება, მოესწრება. კლუბები ამაზე იმუშავებენ. კლუბები ამას მოასწრებენ. პირველი დღის ნიუანსები გავიაროთ. პირველი დღის თამაშები აკადემიის დარბაზში იყო. ტურნირის დიდი ნაწილი აქ გაიმართება.

ჩემპიონატში იღებს მონაწილეობას 18 გუნდი. შექმნილია 4 ჯგუფი. ორში 4-4 გუნდი იქნება და ორში - 5-5. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ დაიწყება გასავარდნი ეტაპი, მეოთხედფინალები. თითო ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე 2-2 გუნდი გავა. მესამე-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები (სულ - 8) საქართველოს ჩემპიონატის დარჩენილი 2 ადგილისთვის საკვალიფიკაციო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ამ ტურნირიდან საქართველოს ჩემპიონატზე 10 საუკეთესო გუნდი გავა. პირველი დღის 6 თამაში გავიაროთ.

მართვე 2 - კარდინალი 53:68, მაკაბი - ლომები 89:70, შსს აკადემია - არმია 67:54, დინამო - აკადემია 2 37:46, თსსუ - ნიკეა 2 71:28, ნიკეა 1 - TBC 95:43.

პაატა გურასპაული (თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტი): 16-წლამდელთა ტურნირი ნორმალურად დაიწყო და ნორმალურად დაიხურა. მთლიანობაში, ყველაფერი ნორმალურად წავიდა და თუ იყო უმნიშვნელო შენიშვნები, ამაზე ვიმუშავებთ და ამ ნიუანსებს გამოვასწორებთ. გუნდებმა მაქსიმუმი გააკეთეს. რამდენიმე გუნდი დანარჩენზე უკეთ იყო მომზადებული და შესაბამისად, ამ გუნდებმა უკეთ დაფარეს მთელი დისტანცია. საქართველოს ჩემპიონატზე ღირსეული კლუბები გავიდნენ. იმედი მაქვს, 18-წლამდელთა ჩემპიონატიც კარგად ჩაივლის და გუნდები აუცილებელ სათამაშო პრაქტიკას მიიღებენ. ჩვენი კავშირი მაქსიმუმს აკეთებს და მაქსიმუმს გააკეთებს ასაკობრივ ჯგუფებში აუცილებელი, საინტერესო კონკურენციის შექმნისთვის და კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომელიც გვეხმარება ამ ტურნირის ჩატარებაში. ფედერაციასთან კონსულტაციებით ბევრი ნაბიჯის გადადგმა უფრო იოლი და მიზანმიმართულია. ჩვენი თანამშრომლობა ქვეყანაში კალათბურთის განვითარებას ხელს უწყობს."


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink